11.09.2024

N 4164

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს

სახელმწიფო საწარმოთა მართვის სამსახურის უფროსს

გ. ზღუდაძეს

სს „საქართველოს რკინიგზაში“ შემოსულია თქვენი 2024 წლის 31 ივლისის #15/43945 წერილი, რომელიც ეხება ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკ. კოდი 32.11.32.624) შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიის“ კაპიტალში შეტანის საკითხს, შემდგომში მისი სარგებლობაში გაცემის მიზნით.

პასუხად გაცნობებთ, რომ განსაკარგ მიწის ნაკვეთზე და მის მიმდებარედ განლაგებულია სს „საქართველოს რკინიგზის“ ბალანსზე რიცხული ინფრასტრუქტურა, მათ შორის საკონტაქტო ქსელის ანძები, მიწის ვაკისი და ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი. ამიტომ უნდა დაკორექტირდეს ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის საზღვარი იმგვარად, რომ არ მოხდეს ინფრასტრუქტურის მიერ დაკავებული მიწის ფართის, კერძოდ 3577 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (იხ. სიტუაციური გეგმა და ელ. ვერსია) გასხვისება.

ამას გარდა, განსაკარგ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების 2.07.01-89 „ქალაქთმშენებლობა“-ს 3.8 და 6.8 პუნქტების, ნავთობპროდუქტების საწყობების სამშენებლო ნორმების და წესების СНиП II-106-79, 12.8 პუნქტის ცხრილი 13-ის, სახანძრო უსაფრთხოების ნორმების НПБ 111-98 ცხრილი 1-ის მიერ დადგენილი პირობები (შეზღუდვები). უძრავ ქონებაზე გავრცელებული სხვა პირობები (შეზღუდვები) დამოკიდებულია განხორციელებული საქმიანობის სახეობაზე და რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობებით, ნორმატიული დოკუმენტებით, სამშენებლო-ტექნიკური ნორმებითა და წესებით, სახანძრო უსაფრთხოების და სანიტარულ-ჰიგიენური წესების მოთხოვნებით.

საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების 2.07.01-89 „ქალაქთმშენებლობა“-ს პუნქტი 6.8-ის მოთხოვნის თანახმად - საცხოვრებელი განაშენიანება საჭიროა გამოცალკევდეს რკინიგზის ხაზებისაგან სანიტარულ-დამცველი ზონებით სიგანით 100 მ., ათვლა ხდება განაპირა სარკინიგზო ლიანდაგის ღერძიდან. იმ შემთხვევაში, როცა რკინიგზის ხაზი განლაგებულია ჭრილში ან ხორციელდება სპეციალური ღონისძიებები ხმაურისგან დასაცავად, რომლებიც უზრუნველყოფენ სამშენებლო ნორმების და წესების II-12-77-ის მოთხოვნებს, - დასაშვებია სანიტარულ-დამცველი ზონის სიგანე შემცირდეს, მაგრამ არა უმეტეს - 50 მეტრით.

იმ შემთხვევაში თუ ტერიტორია განლაგებულია რკინიგზის ლიანდაგის მაღალი ყრილის მიმდებარედ მასზე ვრცელდება ОСН 3.02.01-97 „რკინიგზის გასხვისების ზოლის პროექტირების ნორმების და წესების" 2.2.3.4 პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად, - თუ რკინიგზის ლიანდაგი განლაგებულია 2 მეტრზე მაღალ ყრილზე, ლიანდაგის ღერძიდან რკინიგზის ექსპლუატაციასთან კავშირის არმქონე ნაგებობამდე დაშორება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50 მეტრს, ავარიის შემთხვევაში უსაფრთხოების პირობებიდან გამომდინარე. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ აღნიშნულ ინფორმაციას გაწვდით სამომავლო პირობის სახით, რადგან დღევანდელი მდგომარეობით, მიწის ნაკვეთისა და ყრილის სიმაღლებრივი დონეების სხვაობადან გამომდინარე, ОСН 3.02.01-97 „რკინიგზის გასხვისების ზოლის პროექტირების ნორმების და წესების" 2.2.3.4 პუნქტის მოთხოვნა განსაკარგ მიწის ნაკვეთზე გავრცელებას არ ექვემდებარება.

მიწის ნაკვეთზე დაცული უნდა იყოს საგაბარიტო ზომები, კერძოდ განაპირა ლიანდაგის ღერძიდან 11 მეტრის მანძილზე დაუშვებელია შენობა-ნაგებობების მშენებლობა.

მიწის ნაკვეთზე უნდა უზრუნველყოფილ იყოს მატარებლებისა და მგზავრების შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება.

ტერიტორიაზე დაგეგმილი ნებისმიერი მშენებლობის პროექტი წინასწარ უნდა იყოს განხილული სს „საქართველოს რკინიგზაში".

ზემოთ მითითებული პირობების დაცვის შემთხვევაში, სს „საქართველოს რკინიგზა" არ არის წინააღმდეგი ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მდებარე უძრავი ქონების (საკ. კოდი 32.11.32.624) ჩვენს მიერ განსაზღვრული ნაწილის, კერძოდ 6499 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიის" კაპიტალში შეტანის.

დანართი 1 ფურცელი და 1 CD.

კორპორატიული მართვის დეპარტამენტის უფროსი

ნინო ჯორბენაძე


სამხრეთი
ჩრდილოეთი
არსებული ლიანდაგი
ცენტრალური გამისტრალი
მიწის ნაკვეთი რომელიც არ უნდა
გასხივსდეს. ფართობი 3577 კვ.მ.
მიწის ნაკვეთი რომლის
განკარგვაც შესაძლებელია
1:1,300
რკინიგზის საკუთრება